

იკონი კოეხიშვილი

შინაური მიმოხილვა

I

შესავალი. მამულიშვილობას აღზრდა ესაჭიროება. ვისა ჰქვიან მამულიშვილი? გვყავს თუ არა ჩვენ ახლა ნამდვილი მამულიშვილები? რადს ჩვენში მამულის სიყვარული სუსტი? წმინდა თვისებანი ჩვენებურის ულიშვილობისა. მზგავსება ჩვენის მამულიშვილებისა და რუსეთის ასაელეთეთა (западники). ქართველს სამოგადოებაში ეროვნულის ნობის ვალეძება. პროფესორი ჩუბინაშვილის მიგებების მნიშვნელობა.

ივერიის შინაურს მასპინძელს არა სცალიან. იგი სხვარს მასპინძლობას გიწევთ. მე, როგორც შორიანხლოთბელს, წილად მხვდა ამეამად გავუმასპინძლდე მის ყოვეთიურ სტუმრებსა, მაგრამ ბალა ეს არის, რომ ამგვარ პინძლობას ჩვეული არა ვარ, არა ვარ დახელოვნებული ძნელს, მაგრამ მეგად საამურს საქმეში, და შეიძლება თბა დამეგყოს. მაინც და მაინც ჩემგან სტუმარი სრუად არ უნდა მოელოდეს იმგვარ შექცევას, რომლითაც

ვინ იყო აქ მოსხენებული ყოველთიური მასპინძელი? ბ-ნმა არჯორჯაძემ „ცნობის ფურცელში“ ამ მასპინძლად ჩასთვალა რომე-აც თანამშრომელი ჟურნალის „ივერიისა“ – და თქვენს წინ მდებარე ხილვის ავგორად კი დასახა თვითონ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. ვილად კი საქმე სრულიად სხვანაირად იყო. ყოველთიურს ინძლობას ჟურნალში მკითხველებს უწევდა პირადად თვითონ რე-ორი. მხოლოდ ამ მიმოხილვისათვის მან ვერ მოიცალა, რადგანაც ის საქმეებისათვის ბაქოში წავიდა და დამავალა დამეწერა მიმოხ-ა ჟურნალისათვის, რაც დიდი სიამოვნებით შეეასრულე. ამ მიმოხ-ის გარდა მე დავწერე კიდევ მხოლოდ ერთი მიმოხილვა. ყველა რჩენი მიმოხილვები, ამ ორის გარდა, ეკუთვნის ილიას მადლიანს ამსა. მეორე ჩემ მიერ დაწერილს და „ივერიაში“ დაბეჭდილს მი-ლვას ადვილს არ ვაძლეუ ამ კრებულში, რადგანაც ის დაიბეჭდება იე გომში.

იგი განებივრებული ჰყავს შინაურს მასპინძელსა. მე თქვენს პოეტურის ფრთებით ვერ აგიგაცებთ ცაში და თვალამაჭ-რელებელის სიმადლიდგან ვერ გადაგიშლით ქვეყნიერე-ბას, ვერც იმისთანა ღრმა ფილოსოფიურს ჭეშმარიტებას განგიზიარებთ, რომელიც შინაურმა მასპინძელმა წარსულ თვეში გამოსთქვა შემდეგის სიგყვებით: „თუ ერი ბედნიერე-ბას სხვისაგან სულ ელის და სულ ელისო, რა დაემართე-ბაო? გასულელდებაო“. მე გაგიმართავთ უბრალო საუბარს მხოლოდ უბრალო საგნებზე და დედა-მიწის ნიადაგიდან ფეხს არ მოგაცვლევინეთ.

არა გვგონია, ვისთვისმე უცნობი იყოს ის აბრი, რომ მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი თანხა ქვეყნის ბედნიერებისათვის. ელ-ემენგარული აქსიომაა, რომ ბედნიერება ქვეყნისა მით უფრო მტკიცე გზაზედა სდგას, რავდენადაც ბევრი ჰყავს მას გულშემატკივარი და ერთგული მამულიშვილი. მაგრამ ის კი ბევრმა არ იცის, რომ მამულის ჭეშმარიტი სიყვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აღზრდა ადვილი როდია. ზოგიერთს ჩვენებურს ვაყბაგონს რომ ჰკითხოთ, ყოველ ადამიანს დედის მუცლიდგანვე თან გამოაქვს მამუ-ლიშვილობაო, რადგანაც სამშობლო ქვეყნის სიყვარული ყველას ბუნებითვე თანა ჰყვება და ამიგომ ამ გრძნობის აღზრდაზე ზრუნვა რა საჭიროათ. ეს რომ მართალი ყო-ფილიყო, დედამიწის ზურგზედ უბედურს კუთხეს სანთლი-თაც ველარ იპოვიდით: ყოველი ქვეყანა, დიდი თუ პაგარა, მამულიშვილობით, სამშობლოს სიყვარულით და კეთილ-დღეობით სავსე იქნებოდა. საუბედუროდ, ბუნება პაგრიო-გობაზედ სრულიად არა ზრუნავს. იგი ჰბადებს ქვეყანაზედ არა სამოგადოებას, არამედ ინდივიდუმს, ცალკე პირს და არსებობის დაცვისათვის მას ანიჭებს ეგოიზმის, თავის თა-ვის მოყვარეობასა. ხალხი, ერი, კაცობრიობა ბუნებისათვის არ არსებობს და სამოგადოებრივს გრძნობასაც იგი ვერ დაანათლებს ადამიანსა. პაგრიოგობა სამოგადოებამ და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჯე-როვან სიმალღებზედ. ამ გზაზედ ერთსაც და მეორესაც დიდი

მუყაითი და ბრუნვა ესაჭიროებათ. მამულის სიყვარული მეგად ნაზი მცენარეა, იგი არა ჰგავს უსარგებლო აკაცინას, ლობიოს ხეს, რომელიც ყოველგან უბრუნველად და მოუვლელად ორ-სამს წელიწადს სრულდება და შემდეგ უნაყოფოდ არის გაფშეკილი მთელს თავის სიცოცხლეში. მამულის სიყვარული ემსგავსება ნაზს კაკლის ხეს, რომლისათვისაც საჭიროა შესაფერი ნიადაგი, შეზავებული ჰაერი, რომელიც ვერ იმშვენებს დამჩაგვრელს ხეებს, რომელიც დიდხანს იზრდება და როდესაც დასრულდება, თვალსა აამებს, გულსაც ახარებს და ქვეყანასაც ასაზრდოებს. პაგრიოგად გარდაქცევისათვის სრულიად საკმარისი არ არის, რომ კაცმა იცოდეს, პაგრიოგობა მშვენიერი რამ არისო. ლამაზი ალვის ხე კარმიდამოზედ დიად საამურია ყველასათვის, მაგრამ მისი ცალიერი ნაგვრით კაცისათვის არე-მარეს ვერ დაამშვენებს; უნდა დარგოს, მოუაროს, ყოველი მკაცრი გარემოება ააშოროს, გაზარდოს და ბოლოს ისიამოვნოს მისი სილამაზით, ნაყოფიერებით და მაგრილებელის ჩრდილით. ეროვნულს პაგრიოგულს გრძნობასაც დიდი ხნის ბრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ესაჭიროება. იგი არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, ღრმა, როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც მისი წვერი, მის გოგებსავეთ განიერი და მის კოკრებსავეთ ნაყოფიერი.

ამიგომაც ითხოვს იგი საზოგადოებისაგან და ცალკე პირისაგან ისეთსავე ერთგულს ბრუნვას და მოვლას, როგორც კარგის შვილის აღზრდა დედ-მამისაგან.

ვისა ჰქვია პაგრიოგი? მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე დადობება, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ბრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის განჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით, და ვინც მზად არის დიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე.

ჰყავს ჩვენს სამშობლო ქვეყანას ამგვარი მამულის შვილი? წარსულში ბევრი ჰყავდა და მათმა ღვაწლით შემოსილმა სიცოცხლემ ჩვენს ქვეყანას ორი ათასი წელიწადი ააგანინა შეუპოვარი ბრძოლა შავის ბედის წინააღმდეგ. მაგრამ ახლა? ვის შეუძლიან ჩვენში თამამად და უგყურად დაიხემოს სახელი ჭეშმარიტის პაგრიოგისა, ნამდვილის მამულისშვილისა? ვის აქვს საფუძველი სთქვას, რომ მის მკერდში სძგერს მხურვალე პაგრიოგული გული და მისი მთავარი გონება მიპყრობილი აქვს მხოლოდ მამულის ვარსკვლავს. დიოგენის ფარნითაც რომ ეძებოთ, მთელს საქათველოში ვერ იპოვით პირსა, რომელზედაც საზოგადოებას შეედლოს თქმა: „აი, ჭეშმარიტი მამულისშვილიო!“ იმისთანა ვეროპიელ პაგრიოგებს, როგორც არის გარიბალდი, არამც თუ გოლი არა ჰყავთ ჩვენში, ღირსეული მოწაფეებიც ვერ უშოენიათ აქამდის. რათა? თუ უწინ მდიდარნი ვიყავით ამ უძვირფასესის საუნჯით, ახლა რაღად დავღაგაკვით?

უწინდელი ნიადაგი, რომელზედაც მამულიშვილები იზრდებოდნენ, შეიცვალა; ახლანდელი ნიადაგი ხელს უშლის პაგრიოგულს გრძნობას ფესვები გაიდგას ქართველის გულში, — ახალი გარემოებანი ეწინააღმდეგებიან მის გაზრდას, დასრულებას და ნაყოფის მოგანას. სამაგიეროდ, აკენიდან სამარემდინ, ყველაფერი ცდილობს ჩვენში ჩასახოს გულგრილობა მამულისადმი, ბრიყვულად ბურგი შეგვაქცევინოს მისთვის და მისი გულგრილობა, სიძულვილი აღგვიზარდოს. ჩვენის ქვეყნის წარსულს ფარდა აქვს ჩამოფარებული და ვერ ვითვისებთ მას ვერც გონებით და ვერც გულით; ჩვენის ერის აწდგომასაც მოწყვეტილნი ვართ, და მისადმი თანაგრძნობას ყოველ ნაბიჯზე გვიქრობენ, ფრთების შემსხმელ მომავლის იმედს გულში გვიფხვრიან. სახლობა, სკოლა, საზოგადოება, ყოველი საქვეყნო დაწესებულება იქითკენ არის მიდრეკილი, რომ გული აგვიცრუოს ჩვენს ენაზედ, ჩვენს ლიგერაგურაზედ, ჩვენს ისგორიაზედ, ჩვენს ეროვნულს ყველა საუნჯეზედ და გადაბირების გზაზედ დაგვაყენოს. სასწაულთმოქმედება იქმნებოდა, რომ ამისთანა გარემოებით მოცულს ნიადაგზედ

აღმოცენებულიყო და გაზრდილიყო მხურვალე, შეუპოვარი და დაუღალავი მამულის სიყვარული.

მაგრამ ნუთუ ახლა საქართველო სრულიად მოკლებულია უმაღლეს და უწმინდეს გრძნობას – მამულის სიყვარულსა? არა, იგი ახლაც ასულდგმულებს ჩვენს საზოგადოებასა. მაგრამ მისსა და ძლიერს პაგრიოგობას შუა ისეთი დიდი მანძილია, როგორც ოთახში დაჩაგრულს ყვავილსა და ბაღში გაფურჩქენილს, სიცოცხლით სავსე და ფეროვან ყვავილს შუა. პაგრიოგული გრძნობა ჩვენში ემზგავსება არა ბაფხულის მზეს, რომელიც ღონივრად აცხელებს დედამიწას და მძლავრად ანაყოფიერებს მას, არამედ შემოდგომისასა. მამულის სიყვარული ჩვენს გულში გაძლიერებულს ცეცხლივით არა პრიალებს, იგი სუსტად იწვის, როგორც ქართულს ბუხარში ნედლი შეშა, შესაკიდებელს მოკლებული. იგი არა ჰგავს ღონიერს ქარიშხალს, რომელიც ყოველს გზამედ გადალობილს საგანს ლეწავს, მძლავრად ფანგავს დაგუბებულს ჰაერს და აძლევს მას გამაცოცხლებელს სისუფთავეს, არამედ სუსტ ქარსა, რომელიც მოკლებულია ნამდვილს განმანახლებელ ძალასა...

ღიად, სუსტია ჩვენში ეროვნული გრძნობა, მამულის სიყვარული, მაგრამ, სანუგემოდ, ზოგიერთი ისეთი სიკეთე ახლავს და ისეთი წმინდა თვისებით არის შემკობილი, რომ სწორედ ღირსია უფრო ბედნიერის, სახარბიელო მომავლისა. სხვაგან ბევრგან ვხედავთ პაგრიოგობას, რომელთაც უნდათ სხვის უბედურებაზედ ააშენონ თავიანთი ქვეყნის ბედნიერება. პრუსიის პაგრიოგოს გრეიჩკეს რომ ჰკითხო, რასა სთვლი საჭიროდ გერმანიის ბედნიერებისთვისო, გიპასუხებ: დასავლეთით საფრანგეთის მიწასთან გასწორებას, სამხრეთით ავსტრიის წელში მოკაკვას და აღმოსავლეთით რუსეთის მიმსხვრევასაო. მეშჩერსკის, სუვორინს და კაგკოს რომ შეეკითხოთ, როგორი უნდა იყოს რუსის პაგრიოგო, გიპასუხებენ: იგი უნდა სჩაგრავედეს ყოველ სხვა გომს, რუსებთან შემოერთებულსა, და გარეთ უნდა ელგოდეს და ნაგრულობდეს მთელს ევროპის გაქვლევასაო. ჩინეთის პაგრიოგები უფრო კიდეე მომეგებულს რასმე ნაგრულობენ:

მთელი კაცობრიობა ჩვენის ბოლდისხანის ქვეშევრდომი, უნორჩილესი მონა უნდა შეიქმნასო.

ჩვენში პაგრიოგობა სხვა თვისებებისა, სხვაგვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისასა. ამ გრძნობაში თავის-თავის მეტი არა ურევიარა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება ჩვენს პაგრიოგებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიგერაგურისა კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნაგრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი ავაშაღლოთ; არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ ფართო გზა გონების განვითარებისა, მწეობის აშაღლებისა და კეთილდღეობისაო. ერთის სიგყვით, ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლო ჟამს დაადგა დაწინაურებული, საუკეთესო წილი ევროპის დემოკრატიისა.

მეორე განსაკუთრებითი თვისება ჩვენებურის პაგრიოგებისა ამოდენადვე შესანიშნავია. ზოგიერთ სხვა ქვეყნებში პაგრიოგობა და უკან დახევის სურვილი, ძველის წესწყობილების აღდგინების წადილი, ახალი აზრების და მიმართულების უარყოფა ერთად არიან შეკავშირებულნი, ერთმანეთზედ გადაბმულნი. ეგრეთ წოდებულს სლავიანოფილებს რომ ჰკითხოთ, რას უნდა ელგვოდეს რუსის პაგრიოგო, გიპასუხებენ: გულით და სულით უნდა ნაგრულობდეს ძველს დიდ-პეგრემდინ ყოფილს წყობილებათა განახლებასაო. ყოველიფერი, რაც ევროპიდგან გადმოგვიღია, უნდა უარყოფილ იქმნას, ჩვენსა და ევროპას შუა ჩინეთის კედელი

უნდა ავმართოთ და ყოველგვარ გავლენას ევროპისას ჩვენზედ ბოლო მოვუღოთ. ბრეგანის და პროვანსის პაგრიოგები საფრანგეთში ეწინააღმდეგებიან ახალს რესპუბლიკურს დაწყობილებას და მიმართულებას და სურთ აღადგინონ ის აზრები, მიმართულება და წყობილება, რომელიც არსებობდა საფრანგეთში დიდს რევოლუციის წინათ. — ისინი არიან კლერიკალურის და როიალურის მიმართულებისანი. ჩვენში ამგვარს პაგრიოგებს წამლადაც ვერ მოსძებნით. ძველებურის საქართველოს აღდგენა, მეჩვიდმეგე და მეთვრამეგე საუკუნის დაწყობილებათა რესტავრაცია, სიმბრადაც აღარავის ეჩვენება. უწინდებული საქართველო ჩვენში ყველას მიაჩნია სამუდამოდ წარსულს დროდა, რომლის დაბრუნება ისეთივე შეუძლებელია, როგორც ჩავლილის წყლის უკუმრქცევა; ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენის პაგრიოგების მოქმედებისა და ნაგვრისა, მიქცეულ უნდა იქმნას არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ, ევროპისაკენ. დასავლეთიდან უნდა სვას მან განათლება, მეცნიერება და გადმოიგანოს საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებანი. ამისათვის მან უნდა მოიპოვოს მრავალი ეროვნებითი პირობანი, რომელნიც უწინ ჩვენს ქვეყანაში არსებობდნენ და რომელთა მეოხებით ქართველებს პირველი ადგილი ეჭირათ კავკასიის ერთა შორის. ეს პირობანი ახლა აღარ გვაბაღია, და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ მოკლე ხნის განმავლობაში ქართველობა ბევრით, ძალიან ბევრით უკან ჩამორჩა სომხობასა, რომელმაც, სხვათა შორის, შეირჩინა სამი ნაციონალური ცენტრი: თვითმდგომარე ეკლესია, მასზე მჭიდროდ დაკავშირებული ეროვნული ოჯახი და დამოუკიდებელი სკოლა. წარსულში ჩვენ გვქონდა ამაზე უფრო ფართო ეროვნული ნიადაგი; მაგრამ ამ ნიადაგზედ წმინდა პურთან ხშირად ითესებოდა აზიური ღვარძლი და ჭვავი. ახლა ჩვენში ვერც ერთი ნაყოფიერი მცენარე ვეღარ იდგამს ღრმად ფესვსა, იმიტომ, რომ ნიადაგს მოკლებულნი ვართ და გადაბირების გზას დაედგომივართ. ამის გამო წარსულიდან უნდა გადმოვიგანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწარმოებში ავარჩიოთ სათესად წმინდა პური

გონების, ზნეობის და ეკონომიურის სფერებითგან. ამ ნიადაგის აღდგენის და ძველის საქართველოს რესტავრაციის შუა ისეთივე განუზომელი მანძილია, როგორცა სძევს ავტონომიურს ფინლანდიას და თვითმდგომარე ავღანისტანს შუა. ჩვენს პაგრიოგებს სურთ არა მკვდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდან. იგინი ნაგრობენ იმასვე, რასაც მოისურვებდნენ, ჩვენს ქვეყანაში რომ ემოქმედნათ, რუსეთის უნიჭიერესნი მოდასავლეთენი (გაპადნიკები): ბელინსკი, დობროლიუბოვი, ავტორები რომანებისა: „ვინ სტყუვის“ და „რა ექნათ?“, შჩედრინი და სხვანი. ჩვენის პაგრიოგების მოქმედება იმ ეროვნულს გზასვე ადგია, რომელიც ხსენებულის მეორე რომანის ავტორმა ჩერნიშევსკიმ ვალად დაადო უკრაინელებს, სახელდობრ ეროვნულ ენის, ლიტერატურის და მეცნიერების აყვავება შემდეგი თავისებური გამოხატულებით: „в гостях по временам бывает хорошо, но не дай бог никому не иметь своего собственного угла“ („სტუმრად ყოფნა ხანდახან საამური, მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ვისმე თავისი საკუთარი კუთხე არა ჰქონდეს“).

მცირეოდენი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა, რომელიც გადაბირების გზას დასდგომია, რუსეთულ მოდასავლეთეთა სახელს იჩემებს და სხვებს სლავიანოფილებს აღარებს. ეს ისეთივე სასაცილო მოვლენაა, როგორც მოუვიდათ ამერიკის პლანგატორებს, რომელნიც დაბალის ხალხის დამონებას ცდილობდნენ და დემოკრატები კი დაირქვეს სახელად. რაში მდგომარეობდა და მდგომარეობს დევიზი რუსის მოდასავლეთეთა? იმათ სურდათ და სურთ რუსულს ნიადაგზედ დაამკვიდრონ და აღმოაცენონ ევროპიული განათლება, ევროპული მეცნიერება და საუკეთესო მხარენი ევროპის პოლიტიკურის და სოციალურის იდეალებისა. სწორედ ამასვე ნაგრობენ, სწორედ ამასვე ელგვიან ჩვენში ის საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც ჩვენებურმა საბაკევიჩებმა ქართველი სლავიანოფილები დაარქვეს.

თუ ზოგიერთი ვაჰბაგონი უკუღმართობს, სამაგიეროდ საზოგადოება უკანასკნელს წლებში აშკარად ამტკიცებს, რომ მას შეუგნია და ესმის მნიშვნელობა ეროვნულის პრინ-

ციპისა, მიუცილებელი საჭიროება ხალხოსნურის ნიადაგისა. ეს მან ცხადად აღმოაჩინა წარსულს წელს სხვათა შორის, იმ გულითადის მიგებებით, რომელიც პროფ. ჩუბინაშვილს გაუმართა თბილისსა და ქუთაისში... ამ მიგებებას ჩვენ მეგად დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ. სამწუხაროდ, ჩვენს ლიგერ-აგურას ეს მნიშვნელობა სრულიად გამოეპარა. ქართულმა პერიოდულმა გამოცემებმა ძალიან ვრცლად ასწერეს, სად და რომელ დარბაზში გაუმართეს სადილი ჩვენს ძვირფასს სტუმარსა, რა საჭმელები მიართვეს, რაედენი კაცი დაესწრო, რაედენი მისასალმებელი სიგყვა წარმოითქვა, ვისი სადღეგრძელო დაილია, რაედენს ხანს გასგანა სადილმა და სხვანი. მაგრამ ის კი სრულიად თვალიდგან ასცდათ, თუ რას მოასწავებს ეს ახალი მოვლენა ჩვენში, რა საზოგადო ცვლილებების გამომააშკარავებელია და რა იმედებს იძლევა. ერთი სიგყვით, ჩვეულებრივი სიმსუბუქე, სრიალ-სრიალი ფაქტების ზელაპირზედ აქაც გამოვიჩინეთ და შინაგანი მნიშვნელობა კი მოვლენისა შეუმჩნეველი, გამოურკვეველი დაგვრჩა. ძნელი კი არ იყო ამ მოვლენის ჯეროვანი დაფასება, მისი საზოგადოებრივის მნიშვნელობის განმარტება.

ერთი უპირველესი ღონისძიება პაგრიოგობისა, მამულის სიყვარულის გაძლიერებისა არის მხურვალე თანაგრძნობა საზოგადოების მხრივ მამულისშვილების მოქმედებისადმი, მათი წაქეზება, გამხნეება პაგივისცემის გამოცხადებით. საზოგადოების თანაგრძნობა და ღირსეული დაფასება ქვეყნის სამსახურისა მომქმედს პირს ერთი-ორად უმაგებს ძალას, ფრთებს უსახავს და ადვილად აგანინებს ყოველგვარ განსაცდელს იმ ეკლიანს გზაზედ, რომელსაც აქამდის ბევრს ქვეყანაში და მეგადრე ჩვენში წარმოადგენს მამულის სამსახური. ამიგომ ევროპაში საზოგადო ასპარეზზედ მომქმედს პირს ხშირად უცხადებს საზოგადოება სხვადასხვა გზით თავის გულითადს პაგივისცემას, მხურვალე თანაგრძნობას, უმართავს ოვაციებს, მიგებებას, იუბილეებს და სხვა. მოვიგონოთ, მაგალითად, ის დიდებული, გრანდიოზული დღესასწაული, რომელიც საფრანგეთის საზოგადოებამ გაუმართა ვიქტორ ჰიუგოს შარშანწინ. ოთხმოცის წლის იუბილის

დროს აღტაცებითი თაყვანისცემა, რომელიც ამ დროს საფრანგეთმა გამოუცხადა თავის უნიჭიერესს პოეტს და მხურვალე პაგრიოგს, იყო არა მარტო ჯილდო ხანგრძლივის ღვაწლიანის სიცოცხლისა და მოქმედებისა, არამედ გამამხნევებელი პრიზი, საჩუქარი, რომელიც მოელის საფრანგეთის ყველა შვილსა, ვინც კი ვიქტორ ჰიუგოსავით თავის ნიჭსა და სიცოცხლეს მამულის სამსახურს შესწირავს.

ჩვენი საზოგადოება დიდხანს ცოგაოდნადაც არ იჩენდა ამ თვისებას ევროპის საზოგადოებისას. იგი სრულიად გულგრილად უცქეროდა იმ პირთა მოღვაწეობას, რომელნიც ელგვიან ჩვენის ვინაობის აღდგენასა, ემსახურებიან ჩვენის ეროვნების აღორძინებასა. საზოგადოება მათ არამც თუ არ ამხნევებდა, ბურგს აქცევდა, აბუჩალაკად იჭერდა და სთვლიდა ღონისძიებად, რომელნიც გაუგაცნია შეუსაბამო და მოუწვდომელს წადილსა. ჩვენდა სანუგეშოდ, ბოლოს დროს ჩვენმა საზოგადოებამაც აღმოაჩინა ნიშნები გამოღვიძებისა. თავის მოვალეობის შეგნებისა და მამულის სამსახურის დაფასებისა. პროფ. ჩუბინაშვილის მიგებება არის ერთი იმ ფაქტთაგანი, მოვლენათაგანი, რომელმაც გამოააშკარავა ეს სასიხარულო ცვლილება ჩვენს საზოგადოებაში და დაგვანახა, რომ ეროვნებითის პრინციპის მნიშვნელობა, ხალხოსნურის მიმართულების დაფასება ინტელიგენციის მცირე ღასილგან საზოგადოებაშიაც გავრცელდა და ღრმად იდგამს ფესუსა. ერთი გარემოება კიდევ უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევს ამ მიგებებას. ბ. ჩუბინაშვილი რომ მაღალის ნიჭის კაცი ყოფილიყო და დაეწერა იშვიათის გაღანგით სავსე თხზულებანი, მაშინ მისი მიგებება იქნება ყოფილიყო უფრო პიროვანი, ვიდრე პრინციპიალური: პაგივისცემის გამოცხადება მაშინ შეიძლებოდა შეგვერაცხა შედეგად იმ განკვირვებისა, რომელსაც ჰბადაეს ყველა საზოგადოების წევრში იშვიათის ნიჭით და ცოდნით შემკობილი გვამი. მაგრამ ვინ არ იცის ჩვენში, რომ ბ. ჩუბინაშვილი უბრალო მომაკვდავია და გენიოსებში თავის ჩათვლა ფიქრადაც არ მოსვლია. ვინ არ იცის, რომ ნაწარმოებნი, რომლებითაც გაამდიდრა ჩვენი მწიგნობრობა ბ. ჩუბინაშვილმა, მოითხოვენ უფრო მეხსიერე-

ბას, მუყაითობას შრომაში, ვიდრე მაღალ ნიჭსა და ცოდნასა? საზოგადოებამ ეს კარგად იცოდა, კარგად ესმოდა, რომ ბ. ჩუბინაშვილი იყო უბრალო მემუყაითე, მაგრამ ისიც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ეს მუყაითი გვაში ემსახურებოდა შეძლებისგვარად ჩვენის ვინაობის აღდგენას და ეროვნების აღორძინებას. ამისათვის მიეგება ისე გულწრფელად და გამოუცხადა თანაგრძნობა და პატივისცემა. ჩვენ შემცდარი არ ვიქნებით, თუ ვიგყვით: ბ. ჩუბინაშვილის დახვედრით და მიგებებით ჩვენმა საზოგადოებამ მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა ეროვნულს პრინციპს, ხალხოსნურს მიმართულებასა და დიდების ღირსად აღიარა ის ცხოველი გზა, რომლისთვისაც წინათ ბურგი შექცეული ჰქონდა.

ამ მოვლენამ უნდა მეგად კარგი გავლენა იქონიოს საზოგადო ასპარეზზედ მომქმედს პირებზედ, ახალი თაობის უკეთეს წარმომადგენლებზედ, გაუძლიეროს მათ ეროვნების ერთგულება, ხალხოსნობის თანაგრძნობა და აღავსოს იგინი მხნეობით მამულის სამსახურისათვის.

II

ეროვნული მნიშვნელობა დედა-ენის და ლიგერაგურის შესწავლისა. უნუგემო მდგომარეობა ამ საქმისა საერო სასწავლებლებში. მეგის-მეგი მცირე რიცხვი ქართულის ენის გაკვეთილებისა. მასწავლებლების მეგის-მეგი უვარვისობა. რა და როგორ უნდა ეშველოს ამ საქმეს. ჩვენის ქვეყნის სასწავლებლებში აღგილობრივ ენათაგან მარგო ქართული უნდა იქნას სავალდებულო. სამღვდელოება და ერი. ეროვნულის პრინციპის უარყოფა ჩვენს სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში. ვინ არის ამაში დამნაშავე? გულგრილობა სამღვდელოებისა. ამ საქმეს როგორ და რა უნდა ეშველოს? მარჯვე დრო სასულიერო სასწავლებლების და სემინარიის პროგრამის შეცვლისათვის. მიმართვა დასავლეთის საქართველოს სამღვდელოებისადმი.

მჭიდრო სულიერი კავშირი ინგელიგენციისა და ხალხს შორის ითვლება ერთ-ერთ დედა-ბოძად ქვეყნის წარმატებით.

სათვის. ამ კავშირს ისე არაფერი განამტკიცებს და განაძლიერებს, როგორც ხალხოსნურის ენის, ეროვნულის ლიგერაგურის, სამშობლო ქვეყნის გერიგორიის და ისგორიის შესწავლა. ენა, ლიგერაგურა არის უმდიდრესი საღარო, რომელშიაც მრავალთა თაობათა ძვირფასის განძით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოები ხალხის გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა. ენის, გერიგორიის და ლიგერაგურის შესწავლით ყოველი მოწაფე გულით და სულით შეუთვისდება წარსულს და აწმდგომს თავის ერისას და შეიქმნება მისი ჭეშმარიტი სულიერი შვილი. ამიგომ ყოველს ქვეყანაში დედა-ენის, სამშობლო ქვეყნის და ლიგერაგურის შესწავლა შეადგენს მთავარს საგანს ბრუნვისას და ყოველს სასწავლებელში დათმობილ აქვს უპირველესი ადგილი. მაგრამ ჩვენი ქვეყანა ამ მხრითაც გამოკლებულია სხვა ქვეყნების რიცხვიდან. ძნელად წარმოიდგენს კაცი იმაზე საძაგელს მდგომარეობას, როგორშიაც არის ჩავარდნილი ჩვენი ენის და ლიგერაგურის სწავლება გიმნაზიებში, სავაქოში თუ საქალოში. ძველს ბერძნებს ჰქონდათ ჩვეულება, საძაგლად დამთვრალი კაცი ეჩვენებინათ ხოლმე მოსწავლეთათვის, რომ შეეძლებინათ მათთვის სიმთვრალე. ქართულს ენასაც მსგავსი ბედი სწვევია ჩვენში: მისთვის მიუნიჭებიათ ისეთი ადგილი და ისეთი გარემოებით მოუცავთ, გეგონება განძრახ სურთ მოსწავლეებს იგი შეაძულონო. ქართულის ენისათვის დაუნიშნავთ თითქმის ყველგან მეექვსე გაკვეთილები, ის დრო, როდესაც ხუთის გაკვეთილით დაქანცულს ბავშვებს უჭირთ დასვენება და სწავლისათვის ყურადღება არა აქვთ შერჩენილი. ეს მეექვსე გაკვეთილიც კვირაში მხოლოდ ერთხელ-ორჯერ აქვს ქართულს ენას ნაწილადევი და ისიც მხოლოდ უმცროსს კლასებში, უფროს კლასებში კი მისი სახსენებელიც მოსპობილია. ამ თვითო-ოროლა გაკვეთილის მოხმარებასაც მეგად აბრკოლებს ერთი გარემოება: ქართულის ენის სწავლების დროს ერთად ჰკრებენ სხვადასხვა კლასების მოსწავლეებს, რომელნიც, რასაკვირველია, სხვადასხვა ცოდნის ხარისხზე სდგანან ქართულ ენა-

შიც და ამიგომ აღგენენ რავედენსამე განყოფილებას; ამის გამო მასწავლებელი ვერაფერს აწყობს და ხეირიანად ვერაფერს ასწავლის. ამ წესის და რიგის შედეგი ის გახლავთ, რომ რაოდენობა ქართულის ენის გაკვეთილებისა წლის განმავლობაში ისე მცირეა სხვადასხვა სასწავლებლებში, რომ არა თუ უკან ჩამორჩება მეორე და მესამე ხარისხის საგნებსა, ზოგს შემთხვევაში სომხურს ენასაც კი უჯობნია ქართულის ენისათვის.

ეს ცხადად სჩანს წარსულის გაკვეთილების უწყებიდან (ВЕДОМОСТЬ ОБ УРОКАХ), რომელიც დაბეჭდილია კავკასიის სამოსწავლო ოლქის ცირკულიარში, № 8.

ავიღოთ, მაგალითად, თბილისის პირველი გიმნაზია. გალობას და წერას ხომ უკანასკნელი ადგილი უჭირავს საგნებს შორის და ისწავლებიან მხოლოდ უმცროსს კლასებში, მაგრამ ქართულს ენაზედ კი მაინც უფრო მომეგებული ადგილი ჰქონიათ: წერისათვის განწესებული ყოფილა 299 გაკვეთილი, გალობისათვის 242 და ქართულის ენისთვის მთელი წლის განმავლობაში – იცით რამდენი გაკვეთილი ყოფილა? 23 (ოცდასამი), მაშინ როდესაც სომხურს ენას ამ სასწავლებელში რგებია 101 გაკვეთილი. საქალაქო პროგიმნაზიაში ხელსაქმისათვის დაღებულია 306 გაკვეთილი, ცეკვისათვის და გიმნასტიკისათვის 194 და ქართული ენისთვის მხოლოდ 26 გაკვეთილი. ერთს სასწავლებელში, სახელდობრ სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც უფრო საჭიროა ქართული ენის სწავლება, რადგანაც ეს ერთადერთი სასწავლებელია თბილისში, სადაც ქართველობა უმრავლესობას შეადგენს და საიდგანაც გამოდიან მასწავლებლნი საქალაქო სკოლებისათვის, ქართული ენისა ხსენებაც არა ყოფილა.

გაკვეთილების სიმცირის გარდა, ქართულის ენის მასწავლებლების უხეირობა კიდევ უფრო მომეგებულად ახდენს საქმესა. საცა წყალწაღებული, ყველაფერში გამოუსადეგარი პირი იპოვება, ივლიან, ივლიან და ქართული ენის მასწავლებლად წამოასკუპებენ. შარშან შემოდგომამდის ერთს სასწავლებელში ქართულ ენაზედ განწესებული იყო

ყოვლად უმეცარი, პირველის კლასიდან გამოგებული შემლილი არუთინა, რომელსაც კაცი არამც თუ მასწავლებლობას, ორ გოჭსაც არ მიაბარებდა. საქალებო გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში გახლავთ ქართულის ენის მასწავლებლად ერთი სასულიერო პირი, რომელიც ჩათვლით ძლივსა კითხულობს მხედრულს ხელსა და გრამატიკა და ლიგერაგურა ხომ ისე ესმის, როგორც მე და შენ, მკითხველო, იაპონური ენა. სხვა სასწავლებლებშიაც, გიმნაზიის გარდა, ყველგან ქართული ენა აბარიათ მოუმზადებულს გაუსხნელს და უმეცართ ქართულს ენაში და ლიგერაგურაში. საკვირველიც არ არის ეს სიმდარე მასწავლებლები: სა: ყველა სასწავლებელში შვეიცარს უფრო მომეგებულ ჯამაგირი აქვს, მინამ ქართული ენის მასწავლებელსა სამსახურიც მას არ ეთვლება, რადგანაც ქართული ენა მოკლებულია შგაგის ვალდებულობითის საგნის უფლებასა მისი პაგრონი, ყურის მგდებელი არავენ არის. სვინდისიანად ასრულებს მასწავლებელი თავის თანამდებობასა და გონიერულს პროგრამას მისდევს? კარგი. გყუილუბრალოდ დაეთრევა გაკვეთილებზედ და თავის უგუნურის სწავლებით აძულებს მოწაფეებს დედა-ენას და ეროვნულს ლიგერაგურას? ეგ უკეთესი. მოწაფის ბედზედაც არავითარი გავლენა არ აქვს ქართულის ენის სწავლებასა. იცის მან კარგად თავისი დედა-ენა? არაფერი ემაგება მთავრობის თვალში. გულაცრუებულია და სრულიად არა სწავლობს? არაფერი აკლდება. მოწაფე გადაჰყავთ ერთის კლასიდან მეორეში, თუნდაც რომ ქართულს ენაში სულ ერთეულები ჰქონდეს გამწკრივებული და სგოვებენ იმავე კლასში უბრალო მიზეზის გამო, თუნდაც ქართულში სულ ხუთები ესხას. ერთის სიგყვით, ქართული ენა საქართველოს სასწავლებლებში ემზავსება უბედურს ბუშს, რომელიც ყოველ უფლებას მოკლებულია, და ეპყრობიან ისე, როგორც უგულო და უსულო დედინაცვალი თავისს გერსა.

ჩვენს ლიგერაგურაში ხშირად იყო ბაასი ამ საგნის შესახებ. – არაერთხელ წარმოითქვა, რომ მეგის-მეგი უკუღმართობაა ქართულის ენის გამოკლება სხვა საგანთა

რიცხვიდგან, უმსგავსი სწავლება მისი სასწავლებლებში, რომელნიც ინახებიან უმეგესად ქართველი ხალხის ხარჯით და რომელთაც ვალად აწევთ კისერზედ მოუმბადონ მას ერთგულნი და მის ავ-კარგის მცოდნე მოსამსახურე პირნი. მარშან სამოსწავლო მთავრობამაც თითქო გულწრფელად მისცა ბანი ამ საზოგადო მოთხოვნილებას, სიგყვით ხშირად გვესმოდა აღთქმანი, რომ ქართულის ენის და სხვა ადგილობრივის ენების კათედრები დაწესდება სასწავლებლებში და ესენი შეიქმნებიან ვალდებულობით საგნად არა მარგო აქაურ მოწაფეთათვის, არამედ თვითონ რუსეთისათვის-საცაო. ოფიციალურს გაბეთს „კავკასიაშიაც“ კი იყო დაბეჭდილი რავდენიმე სგაგია იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ საჭიროა და სახელმწიფო ინგერესიც მოითხოვსო, ადგილო-ზრივ ენებს ისეთივე ადგილი და მნიშვნელობა მიენიჭოთ ყველა სასწავლებელში, როგორცა ჰქონდა მათ ვარანცოვის დროსაო. მაგრამ გავიდა ერთი წელიწადი, მიდის მეორეცა და აღსრულების ჩამიჩუმიც არსაიდგან ისმის. პრესა და საზოგადოება გაკვირვებულია და არ იცის, რას მოასწავებს ასეთი უცები დაოხნება. კერძოთაც და ბეჭდვითაც ასახელებენ ერთს დაბრკოლებას, რომელიც ვითომც უშლიდეს საზოგადოების და მთავრობის სურვილის ასრულებას: ეს გახლავთო მრავალენოვანება კავკასიის მცხოვრებლებისა, მაგრამ ეს გარემოება დაბრკოლებად არ ჩაითვლება და გამოდგება მხოლოდ იმგვარ საბუთად, რომელსაც საბნად აფარებენ უნდობლობას, უსურვილობას, და რომელზედაც არის ნათქვამი „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“. მრავალენოვანება მხოლოდ მაშინ იქნებოდა ნამდვილი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომ კავკასიის გერიგორია დაყოფილი კი არა ჰქონოდა სხვადასხვა ხალხებსა, არამედ ყოველს გუბერნიაში და სათემოში ესენი ერთმანეთში ყოფილიყვნენ თანასწორად არეულნი. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ეს ასე არ გახლავთ, ქართველებს უჭირავთ თბილისის და ქუთაისის გუბერნია და ბათუმის მაზრა, სომხებს ეკუთვნით ერევნის გუბერნია, და თათრები მოსახლეობენ ბაქოს გუბერნიაში და სხვანი. ყოველს გუბერნიაში სავალდებულო

საგნად უნდა ჩაირიცხოს მხოლოდ ის ენა, რომელზედაც ლაპარაკობს უმრავლესობა ამ გუბერნიის მცხოვრებლები-სა. ეს მით უფრო სამართლიანი იქნება, რომ უმრავლესობის ხარჯით ინახება სასწავლებლები, უმრავლესობის პრინცი-პი ყველგან აღიარებულია და ჩვენც მასზედ უნდა ვიქნეთ დამყარებულნი, თუ მართლა საქმის გაკეთება გვინდა და არა უკადრისი მოგყუილება საზოგადოებისა. მართალია, შეიძლება, რომ რომელსამე სასწავლებელში უმრავლესობა მოწაფეებისა ეკუთვნოდეს მცხოვრებლების უმცირესობას, როგორც ეს არი თბილისის გუბერნიაში, სადაც სომხობა ძლივს შეადგენს მეოთხედს ნაწილს მცხოვრებლებისას, და თბილისის სასწავლებლები კი თავის შეილებით აქვთ გავსი-ლი. მაგრამ ეს ცნობილი გარემოება არამც თუ არ არღვევს ჩვენის აზრის სიმართლეს, ერთი-ორად უფრო მეგს ძალას აძლევს. როცა სასწავლებლებს ინახავს ერთი ხალხი თავის ფულით და მეორე კი სარგებლობს მათი, ეს დიდი უსამართლობაა, რომელიც უნდა უთუოდ მოისპოს შესაბამი ღონისძიებით. ამ ღონისძიებამ უნდა გაამრავლოს პირვე-ლის ხალხის შეილები ყველა სკოლებში მისი რიცხვის შე-საბამად. მაგრამ თქვენ რომ მოთხოვით მცხოვრებლების უმცირესობის ენის ვალდებულობითი სწავლა იმ საბუთით რომ მისი შეილები შეადგენენ მოწაფეთა უმრავლესობას ეს იქმნება მეორე უსამართლობა, აშენებული პირველს უსამართლობაზედ, და ემზგავსება იმას, რომ ვისმეს სადილო გამოსცყო და ვახშმადაც შენი დაპაგიეებაც ვალად დაადო იმ საბუთის ძალით, რომ ვახშმის მადაზედაც ვარო.

ცხადია, რომ არც სომხებს, არც თათრებს და არც სხვ ხალხებს სამართალი არა აქვთ მოითხოვონ თავიანთ ენი ვალდებულობითი სწავლება თბილისის და ქუთაისის გუბერ-ნიაში, სადაც მხოლოდ ქართული ენა უნდა იქმნას შეგანილ ვალდებულებითს, შგაგის, საგნების სიაში. სომხებს და სხვ ხალხებს, რომელთა შეილები სწავლობენ საქართველო სასწავლებლებში, რასაკვირველია, შეუძლიათ ასწავლო თავისი ენა; მაგრამ თავის განსაკუთრებულის ხარჯით დ ისე, როგორც კერძო, უვალდებულო საგანი. ხსენებულ

საბუთის ძალით ერევნის გუბერნიაში სომხური ენა უნდა გახდეს ვალდებულობით საგნად, თათრული – ბაქოს გუბერნიაში, და სხვა.

საკვირველი იქნება, რომ ამგვარი საქმის დაბოლოება ვისთვისმე საწყენი დარჩეს. ჩვენ ვთხოულობთ მხოლოდ ჩვენსას ჩვენს საკუთარს ქვეყანაში. და არავის არ ვეღავებით – თქვენის ქვეყნის სასწავლებლებში ფეხი ჩაადგმევინე ჩვენს ენასა და უფლება მიანიჭეთო. არც სხვა უნდა წამოგვედაოს ჯერ იმიგომ, რომ ეს წამოდაგება საზოგადო საჭიროების დაკმაყოფილებას ხელს შეუშლის, ჩვენც წაგვიხდენს საქმეს და თვითონ იმასაც ავნებს.

ქართულის ენის სწავლების აღდგენა სასწავლებელში და დამკვიდრება ფართო საფუძველზედ ითხოვს ბეჯითს შუამავლობას მთავრობის წინაშე. ვის შეუძლიან იკისროს ეს შუამავლობა? წარმომადგენელი დაწესებულება ამქამად ჩვენში მარგო ერთი არსებობს, ეს გახლავთ თავადაზნაურთა კრებული! და მხოლოდ მას შეუძლიან აღძრას ეს საქმე და იბრუნოს მის შესრულებისათვის. ქუთაისის და თბილისის თავადაზნაურობის წმინდა ვალია, იკისროს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ჯეროვანის უფლების მინიჭებაზედ ქართულის ენისათვის ყველა სასწავლებლებში, ბეჯითად აღევნოს თვალი ამ საქმის მსვლელობას და იხმაროს ყოველი ღონისძიება, რომ იგი მაგიდის უჯრაში არსად ჩარჩეს, არამედ ეღირსოს დროზედ ჯეროვან ყურადღებას და სასურველს ბოლოსა.

ქართულის ენის და ლიგერაგურის შესწავლა კიდევ უფრო მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს სასულიერო ახალგაზრდობისათვის, რომელმაც უნდა მისცეს ხალხს ნამდვილნი მოძღვარნი, სულიერნი მამანი. არა წოდებას არა აქვს ისეთი დაახლოებითი კავშირი ხალხთან, როგორც სასულიეროსა. სასამართლოს და აღმინისგრაციის წარმომადგენლები მხოლოდ ხანდახან, დროგამოშვებით შეეხებიან მას. სამღვდელოება კი სამუდამოდ ხალხშია მოქცეული, არის მოწამე მის ჭირისა და ლხინისა, გაბმული და

შეუწყვეტელი ურთიერთობა აქვს მასთან, – ყოველი წევრი სამწყსოსი აკვნიდან დაწყობილი ვიდრე სამარეშდის მოძღვრის გავლენის ქვეშ არის. ამ გავლენას შეუძლიან დიდი ნაყოფიც მოიგანოს და დიდი ვნებაცა. თუ მოძღვარი შეკავშირებულია ერთან მისის წარსულის და აწმდგომის ცოდნით, მისი ენის და ლიგერაგურის შეთვისებით და აღზრდილი აქვს გულში სიყვარული და პაგივისცემა თავის ხალხისა, ღმერთმა თქვენ ნუ მოგაკლოთ ის სიკეთე, ის ნუგეში, ის შვება და ლხენა, რომელსაც იგი ხალხში მოჰფენს. მაგრამ თუ მოძღვარი უკუღმა გზით არის აღზრდილი, თუ მოკლებულია იგი ყოველს ეროვნულს საუნჯის ცოდნას და თანაგრძნობას, თუ მასში აღმოუფხვრიათ თავის ერის პაგივისცემა, გადაბირების გზაზედ დაუყენებიათ, დაუმახინჯებიათ და ყოველი სულიერი კავშირი მოუსპიათ მის და ერის შუა, მაშინ თქვენს მგერსაც ამოროს ის ვნება, ის გარალი და ის გარყვნილება, რომელსაც იგი შესძენის თავის სამწყსოსა. ეს უბრალო, ანბანური ჭეშმარიტებაა, რომლითაც ხელმძღვანელობდა უწინ ეკლესია და ხელმძღვანელობენ ახლაც ყველგან სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდაში. თვითონ მოციქულები მხოლოდ მას უკან ბედავდნენ სახარების ქადაგებას რომელისამე ერის შორის, როდესაც ამ ერის ავკარგიანობას დაწვრილებით გაიგებდნენ და დახელოვნდებოდნენ მის სამშობლო ენაში. მათი ქადაგება მით უფრო ნაყოფიერი და ძლიერი იყო, რამდენიც მოციქულს მომეტებული კავშირი ჰქონდა ხალხთან და რამდენადაც უფრო მარჯვედ ხმარობდა იმ ეროვნულს ძალას, რომელსაც წარმოადგენს ხალხის ენა. ამგვარის ნიჭით, ამგვარის ცოდნით და თანაგრძნობით ყველა მოციქულზედ ბევრით მდიდარი იყო მოციქული პავლე, რომელმაც მშვენიერად შეისწავლა პროვინციალური ლათინური დიალექტები და რომელთაც იგი ხმარობდა ქადაგებაში ნაცვლად ვირგილის და სენეკას გარანდული ლათინური ენისა. ამიგომაც იყო მისი ქადაგებისეთი ძლიერი და ნაყოფიერი. წმინდა მამების მოქმედება

შიაც იმასვე ვხედავთ. ოქროპირი, დიდი ბასილი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და სხვანი შეიქმნენ ისეთის მძლავრის და კეთილის გავლენის მექონენი იმ გარემოების მეოხებით, რომ სულით და გულით იყვნენ დაკავშირებულნი თავის სამწყსოსთან, მის წარსულთან, ენასთან, ლიგერაგურასთან. უბრალო მღვდელმა არიოსმა გამოუცხადა ომი მთელს მართლმადიდებელს ქრისტიანობას მისი მრავალის პაგრი-არქებით, კათალიკოსებით და ეპისკოპოსებით, მრავლად იბრძოლა, თითქმის ნახევარი ქრისტიანობა თავისკენ გადაიყვანა და თავისი სწავლა დაამკვიდრა დიდხანს უფრო იმის გამო, რომ ფარად და ხმლად ხმარობდა ისიც და იმის მომხრენიც ხალხურ ენებს და დიალექტებს. მსოფლიო საეკლესიო კრებებს ეს კარგად ესმოდათ, რასაკვირველია, და ამიგომ ითხოვდნენ, რომ ყოველს მღვდელს ზედმიწევნით სცოდნოდა ენა თავის სამწყსოსი და ექადაგნა მხოლოდ ამ ენაზედ. ასე იყო უწინ და ასევე გახლავთ ახლაც. კათოლიკების და ლოგრანგების მისიონერების ნაყოფიერი მოქმედება, მათი სამღვდლოების მძლავრი გავლენა სამწყსოზედ იმის შედეგია, რომ სასულიერო ახალგაზრდობის სწავლა და აღზრდა არის დაფუძნებული ეროვნულს ნიადაგზედ, ზედგამოჭრილია ხალხის მოთხოვნილებაზედ.

ერთის სიგყვით, ქრისტიანობრივი ეკლესია ყველგან და ყოველთვის მისდევდა იმ აზრსა, რომელიც გამოსთქვა „ღვთის ერმა“ დავით წინასწარმეტყველის პირით: „ჩვენ ვადიდებთ მას, ვინც უბნობს ჩვენის ენითა“.

ჩვენში რაღასა ვხედავთ? სრულს უკუღმართობას, მოისპო თუ არა კათალიკოსობა საქართველოში და დამკვიდრდა ექზარხოსობა, სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდა და სწავლა დააცდინეს თავის წმინდა მიზანს – ქართველ ხალხისათვის ჭეშმარიტის მოძღვრების მომზადებას – და დააყენეს გადაგვარების გზაზედ. ნამდვილი ქართული სასულიერო სემინარიების ნაცვლად, რომელნიც არსებობდნენ წარსულს საუკუნის გასულს და რომელნიც

დაკვიცილ იყვნენ ახალის წყობილების შემოღების დრო დააფუძნეს სქოლასტიკური ბერძნულ-ლათინურ-რუსულ სემინარია, რომელსაც თითქმის იმდენი კავშირი აქვს ქართველ ხალხთან და მის მოთხოვნილებასთან, რამდენი თათრების მედრესეებს. სასწავლებელი, რომელიც ინახება მთლად ქართველის ერის ხარჯით და ვალდებული მოუშვადოს მას ჭეშმარიტნი სასულიერო მწყემსნი, სწავლის ბევრს სხვადასხვა რამეს, მაგრამ ის კი სრულიად უყურადღებოდ არის დარჩენილი, რაც ასჯერ უფრო უაჭიროეს ცოდნას შეადგენს ქართველის ერის მომავალთა მოძღვართათვის. ქართულის ენის, ქართულის ლოგერაგურის საეროსი და სასულიეროსი, ქართულის ისტორიისა საეკლესიოსი და სამოქალაქოსი აქ სახსენებელი არ არის. მხოლოდ ხუცურის მექანიკურის კითხვისათვის ძლიერ-ძლივობით გაამწესებინეს ოთხი გაკვეთილი კვირაში ექვსკლასიან სასწავლებელში, მაშინ, როდესაც ბერძნულისა და ლათინურისათვის დადებულია ოცდაცხრამეტი გაკვეთილი კვირაში.

მეგად შესანიშნავია ის ფაქტი, რომ სასულიერო სემინარიაში მის დაარსებიდანვე დღევანდელს დღემდე გამორკვეულია, უარყოფილია ქართული მეტყველება, მაშინ, როდესაც საერო სასწავლებლებში ხშირად სჭერია ქართველი ადგილი, თუმცა ეს საუნჯე კიდევ უფრო მეტეგებულად უჭირდა და უჭირს სასულიერო სასწავლებლებსაც. ეს სამწუხარო მოვლენა წარმოსდგება იმ მიზეზიდან, რომელიც თითქმის არავის არ შეუძინებია და გამოურკვეველია ჩვენში. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენის ქვეყნის სასულიერო საქმეებს განაგებს არა ადგილობრივი მთავრობის საქართველოს ექზარხოსი, რომელმაც უფრო დაახლოებით იცის თავისი ეპარქიების ავი და კარგი, საჭიროება მოთხოვნილება და რომელზედაც სამწყსოს უნდა ჰქონდეს მეგ-ნაკლებობით გავლენა, არამედ უმაღლესი ინსტანციის პეგერბურგიდგან, – უწმინდესი სინოდი, რომელიც ყოველთვის იმასა ცდილობდა და ცდილობს, რომ სრულიად

ბებოდა მაგვარ ქადაგებათა მოვლენას, შეიძენდა მათ და გამოიყენებდა საეკლესიო კათედრის გაცოცხლებისათვის; მაგრამ ჩვენმა სამღვდლოებამ იმდენად უყურადღებოდ დააგლო ეს ქადაგებანი, რომ ათის წლის განმავლობაში ერთი გამოცემაც ვერ გაისყიდა. ეს მით უფრო სამარცხენოდ და დამამცირებელია ჩვენის სამღვდლოებისათვის, რომ ეს ქადაგებანი ევროპაში ღირსეულად დააფასეს. არ გასულა ორი წელიწადი მათის დაბეჭდვის შემდეგ, რომ ლონდონში გამოვიდა ცალკე ლაზათიან გომად მათი თარგმანი. ინგლისელებს გყუილ-უბრალოდ გარჯა და ხარჯი არ უყვართ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ყოვლადსამღვდელო ჯაბრიელის ქადაგებანი არამც თუ თვითონ ინგლისში წარმოითქმიან იქაურ პასტორების პირით, მრავალ კალთონებშია კი უთუოდ ხშირად დაამშვენებენ საეკლესიო კათედრასა; როგორ ჯავრით არ აივსება ქართველის გული, როდესაც წარმოიდგენს, რომ ჩვენის ქვეყნის შვილის გონების ნაწარმოები უნდა უნათლებდეს გონებას და უმაღლებდეს მცხოვრებლებს და ესევე ნაწარმოები სრულიად გაუცნობელი და უნაყოფო უნდა რჩებოდეს ჩვენის ხალხისათვის, იმ გარემოების მეოხებით, რომ ჩვენი სამღვდლოება, სისგმატიურად აღმრდილი გადაგვარების გზაზედ, იჩენს საშინელს დაუღვერობას, უხეირობას და უკუღმართობას თავის წმინდა მოვალეობის აღსრულებაში.

მაგრამ მარგო ქადაგება არ გაუქმდა ჩვენში. მას თან გაჰყვა სასულიერო ლიგერაგურაც, რომელიც წარსულს საუკუნის დამღვეს მდიდარი იყო ბევრნაირ თხზულებით. მთელის ოთხმოცის წლის განმავლობაში ორი სასულიერო წიგნი არ გამოსულა ქართულს ენაზედ. მთელს საქართველოს სამღვდლოებას არ აბადია არც ერთი სასულიერო ჟურნალი. სასულიერო მოთხოვნილება თავის სამწყსოსი ჩვენს სამღვდლოებას იმდენად მივიწყებული აქვს, რომ ოცი წლის განმავლობაში ვერ ითავა გადათარგმნა რუსულიდან ერთის პაგარა სასულიერო წიგნისა, რომელიც უსაჭიროეს

რასმეს შეადგენდა სახლობისათვისაცა და სკოლისათვისაც და რომელიც მხოლოდ ერთის წლის წინათ გადმოთარგმნულ იქნა საერო პირის შრომითა.

ერთის სიგყვით, ეროვნულის პრინციპის და მიმართულების უარყოფამ ჩვენის სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდაში სრულიად გააქრო სიცოცხლის ნაპერწკლები ჩვეს სამღვდლოებაში და გადააქცია იგი საეკლესიო წესების მხოლოდ მექანიკურს აღმასრულებლად. ამას შედეგად მოჰყვა არა მარგო ნაყოფიერის კაეშირის მოსპობა სამღვდლოებასა და ერსა შორის, მათ შუა დაიბადა დაუძინებელი სიძულვილი და ჩამოვარდა ნამდვილი მგრობა. ბლადოჩინების და მამრის უფროსების მოხსენებათაგან, რომელნიც მიღებულნი არიან სინოდალურს კანგორაში და გუბერნიების სამმართველოებში, სჩანს, რომ ეს მგრული განწყობილება საზღვარს გადასულა. სასულიერო მთავრობამ საქმის წალმა დაგრიალებისათვის და ნაყოფიერის კაეშირის აღდგენისათვის მღვდელთა და სამწყსოთა შორის რაღაც საცოდავი გაქცია მრევლის გადასახადისა გამოიგონა, მაგრამ თუ ამისთანა წერილმანის ღონისძიებით შეიძლებოდეს დიდის ბოროტების მოსპობა, ქვეყანაზედ ბედნიერების დამყარება უადვილესი საქმე იქნებოდა. აქ სრულიად სხვაგვარი ღონისძიებანი არიან საჭირონი.

ერთი უმთავრესი ღონისძიება არის ჭეშმარიტს გზაზედ დაყენება სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლებისა. სასულიერო სასწავლებლების და სემინარიის ორგანიზაცია სრულიად რადიკალურად უნდა შეეცვლილ იქმნას. ბერძნულ-ლათინურ-რუსულის ხასიათის მაგივრად მათ უნდა მიიღონ ქართულ-რუსული ხასიათი. ძველის ენების სწავლება საჭიროა სრულიად მოისპოს და მათ მაგიერ საფუძვლიანად და ფართოდ ასწავლონ ქართული და რუსული ენები. უფრო დიდი წილი ძველის ენებისათვის გადაღებულისა გაკვეთილებისა უნდა ეწილადოს ქართულის ენის კათედრას, რომელიც უნდა იპყრობდეს: ქართულს ვრცელს გრამატიკას, ჩვენს სასულიერო და საერო ლიგერაგურას, საქართველოს ვრცელს გეოგრაფიას, ჩვენის ქვეყნის ისტორიას საეკლესიოსა და სამოქალაქოსა და სხვა. მაგრამ მარგო ქართული

სულ დონებედ დააყენოს ჩვენი სასულიერო სასწავლებლები. საქართველოს ექმარხოსის უფლება ბევრით არაფრით გაირჩევა უბრალო არქიეპისკოპოსის უფლებათაგან და აჩრდილიც არ არის იმ მძლავრის უფლებისა, რომლითაც იყო შემოსილი საქართველოს კათალიკოსი. ამითი უნდა ავხსნათ, სხვათა შორის, ის მოვლენა, რომ თუმცა საქართველოს ექმარხოსებში ერივნენ ნიჭიერნი და სათნო პირნი, მაგრამ სიკეთე კი მაგდენი არაფერი დაუთესნიათ. თუ ისინი რაიმე გონიერ მოსაზრებას წარადგენდნენ ხოლმე სინოდში, იმ მოსაზრებას, რომელიც ბედგამოჭრილი იყო ჩვენს განსაკუთრებულს ცხოვრებაზედ, უარი მოსდიოდათ, იმ საბუთით, რომ თქვენი წადილის შესრულება საზოგადო წესდების ჰარმონიას დაფუძავსო, თითქოს ერის ცხოვრება იყოს დაარსებული წესდებისათვის და არა წესდება ცხოვრებისათვის. მაგალითად, განსვენებული ეგმარქოსი ევსევი არ ეკუთვოდა საუკეთესო ეგმარქოსებს, მაგრამ იძულებულმა ადგილობრივის მოთხოვნილებით, სინოდში წარადგინა პროექტი ქართულის ენის კათედრის დაარსებისა სასულიერო სემინარიაში, რაზედაც ცივი, ჩრდილოური უარი მოუვიდა. სამწუხაროდ, ამგვარივე უარი არ მოსდიოდათ ეგმარქოსებს მაშინ, როდესაც იგინი რაიმე რეგროგრადულს ბომას გამოითხოვდნენ ხოლმე სინოდისაგან იმ მოსაზრების ძალით, რომ აქ აზიაა და ევროპულს წესდებას ვერ შეიმჩნევენო. ამ შემთხვევაში ხშირად დაუყოვნებლივ მოსდიოდათ თანხმობა და ლოცვა-კურთხევა. ერთის სიგყვით, ეგმარქოსობის თანამდებობა გამოვიდა იმგვარი, რომ სიკეთისათვის უძლური იყო და ავისათვის კი შემძლებელი.

თუ საერთო უწყებაში უფრო უკეთ მიდიოდა საქმე, თუ აქ ადგილობრივ ელემენტს ცოგაოდენი მაინც პაგივი და უფლება ჰქონდა, ეს უნდა აიხსნას იმით, რომ მთავარმართებელი და ნამესგნიკი შემოსილნი იყვნენ დიდი უფლებითა და შეეძლოთ ბევრი კეთილიც ექმნათ და ბევრი ბოროტიცა; და, რადგანაც ამ დიდს უფლებას მოსდევდა მნეობრივი პასუხისგება ჩვენის ქვეყნის წინაშე, ამიგომ ცდილობდნენ,

რომ ადგილობრივის ელემენტის პაგივისდებით დაემსახურებინათ თანაგრძნობა მცხოვრებლებისა, რომელთა წინაშე თავის გამართლება შეუძლებელი იყო პეგერბურგისაკენ მითითებით.

აქელამ ცხადად სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ავგონომიურს, თვითმმართველობის პრინციპს ჩვენის ქვეყნისათვის და რამდენად საჭიროა, რომ ჩვენის ეკლესიის მართვა და გამგეობა უმთავრესად იყოს საქართველოს ეგმარქოსის ხელში და პირდაპირ არ ექვემდებარებოდეს პეგერბურგის ინსტანციას. არც იმის დასკვნა გაუძნელდება მკითხველსა, თუ რა ხეპრული შეცდომა მოსდიოდათ იმ პსევდო-რადიკალებს და ბრმა ცენგრალისგებს, რომელნიც ამგვიცებენ, რომ ნამესგნიკობის გაუქმება ჩვენში და უბრალო გენერალ-გუბერნატორობის დადგინება ნაბიჯის წინ გადადგმა იქნება და ჩვენს ქვეყანას დიდს სიკეთეს შესძლვისო...

მეგად დიდი ვნება მოუგანა ჩვენს ქვეყანას ქართული სულის და გულის გამოკლებამ ჩვენის სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდიდგან და სწავლიდგან. ამ მიზეზის წყალობით ჩვენი ერი სრულიად მოაკლდა მოძღვართა, სულით და გულით მასთან დაკავშირებულთა. მათი ადგილი დაიჭირეს მღვდლებმა, რომელთაც ხალხში დაიმსახურეს „სულის მგრების“ და „მღლების“ სახელი. მათ ხელში წმინდა დანიშნულება სულიერთა მწყემსთა არამც თუ გადასხვაფერდა, სრულიადაც გაჰქრა. სახარების მაღალის სწავლის ქადაგება ისე მოსპეს, რომ ათი და ოცი წელიწადი გავა, რომ არამც თუ სოფლებში, ქალაქებშიაც ვერ გაიგონებ საეკლესიო კათედრიდგან მოძღვრებასა. მღვდლების გულის აცრუებამ ქადაგებაზედ იქამდის მიაღწია, რომ მზამზარეული ქადაგების წარმოთქმაც კი მრევლის წინაშე ეძნელებათ და ეზარებათ. ქართულს ენაზედ კარგა ხანია დაიბუჭდა მშვენიერი ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოზის ყოვლადსამღვდელო გაბრიელისა. ყოველი სამღვდელოება, რომელშიაც კი ცოგაოდენი მაინც ღვივის ღვთის ნაპერწკალი, სიხარულით მიეგე-

ბებოდა მაგვარ ქადაგებათა მოვლენას, შეიძენდა მათ და გამოიყენებდა საეკლესიო კათედრის გაცოცხლებისათვის; მაგრამ ჩვენმა სამღვდლოებამ იმდენად უყურადღებოდ დააგლო ეს ქადაგებანი, რომ ათის წლის განმავლობაში ერთი გამოცემაც ვერ გაისყიდა. ეს მით უფრო სამარცხენოდ და დამამცირებელია ჩვენის სამღვდლოებისათვის, რომ ეს ქადაგებანი ევროპაში ღირსეულად დააფასეს. არ გასულა ორი წელიწადი მათის დაბეჭდვის შემდეგ, რომ ლონდონში გამოვიდა ცალკე ლაზათიან გომად მათი თარგმანი. ინგლისელებს გყვილ-უბრალოდ გარჯა და ხარჯი არ უყვართ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ყოველდღეობა და ღვაწლი ქადაგებანი არამც თუ თვითონ ინგლისში წარმოითქმიან იქაურ პასტორების პირით, მრავალ კალთონებშია კი უთუოდ ხშირად დაამშვენებენ საეკლესიო კათედრასა; როგორ ჯავრით არ აივსება ქართველის გული, როდესაც წარმოიდგენს, რომ ჩვენის ქვეყნის შვილის გონების ნაწარმოები უნდა უნათლებდეს გონებას და უმაღლებდეს მცხოვრებლებს და ესევე ნაწარმოები სრულიად გაუცნობელი და უნაყოფო უნდა რჩებოდეს ჩვენის ხალხისათვის, იმ გარემოების მეოხებით, რომ ჩვენი სამღვდლოება, სისგმატიურად აღმრდილი გადაგვარების გზაზე, იჩენს საშინელს დაუღვერობას, უხეირობას და უკუღმართობას თავის წმინდა მოვალეობის აღსრულებაში.

მაგრამ მარგო ქადაგება არ გაუქმდა ჩვენში. მას თან გაჰყვა სასულიერო ლიგერაგურაც, რომელიც წარსულს საუკუნის დამღვეს მდიდარი იყო ბევრნაირ თხზულებით. მთელის ოთხმოცის წლის განმავლობაში ორი სასულიერო წიგნი არ გამოსულა ქართულს ენაზედ. მთელს საქართველოს სამღვდლოებას არ აბადია არც ერთი სასულიერო ჟურნალი. სასულიერო მოთხოვნილება თავის სამწყსოსი ჩვენს სამღვდლოებას იმდენად მივიწყებული აქვს, რომ ოცი წლის განმავლობაში ვერ ითავა გადათარგმნა რუსულიდან ერთის პაგარა სასულიერო წიგნისა, რომელიც უსაჭიროეს

რასმეს შეადგენდა სახლობისათვისაცა და სკოლისათვისაც და რომელიც მხოლოდ ერთის წლის წინათ გადმოთარგმნილ იქნა საერო პირის შრომითა.

ერთის სიგყვით, ეროვნულის პრინციპის და მიმართულების უარყოფამ ჩვენის სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდაში სრულიად გააქრო სიცოცხლის ნაპერწკლები ჩვეს სამღვდლოებაში და გადააქცია იგი საეკლესიო წესების მხოლოდ მექანიკურს აღმასრულებლად. ამას შედეგად მოჰყვა არა მარგო ნაყოფიერის კაეშირის მოსპობა სამღვდლოებასა და ერსა შორის, მათ შუა დაიბადა დაუძინებელი სიძულვილი და ჩამოვარდა ნამდვილი მგრობა. ბლადოჩინების და მამრის უფროსების მოხსენებათაგან, რომელნიც მიღებულნი არიან სინოდალურს კანგორაში და გუბერნიების სამმართველოებში, სჩანს, რომ ეს მგრული განწყობილება საზღვარს გადასულა. სასულიერო მთავრობამ საქმის წალმა დაგრიალეებისათვის და ნაყოფიერის კაეშირის აღდგენისათვის მღვდელთა და სამწყსოთა შორის რაღაც საცოდავი გაქცია მრევლის გადასახადისა გამოიგონა, მაგრამ თუ ამისთანა წერილმანის ღონისძიებით შეიძლებოდეს დიდის ბოროტების მოსპობა, ქვეყანაზედ ბედნიერების დამყარება უადვილესი საქმე იქნებოდა. აქ სრულიად სხვაგვარი ღონისძიებანი არიან საჭირონი.

ერთი უმთავრესი ღონისძიება არის ჭეშმარიტს გზაზედ დაყენება სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლისა. სასულიერო სასწავლებლების და სემინარიის ორგანიზაცია სრულიად რადიკალურად უნდა შეეცვლილ იქმნას. ბერძნულ-ლათინურ-რუსულის ხასიათის მაგივრად მათ უნდა მიიღონ ქართულ-რუსული ხასიათი. ძველის ენების სწავლება საჭიროა სრულიად მოისპოს და მათ მაგიერ საფუძვლიანად და ფართოდ ასწავლონ ქართული და რუსული ენები. უფრო დიდი წილი ძველის ენებისათვის გადაღებულისა გაკვეთილებისა უნდა ეწილადოს ქართულის ენის კათედრას, რომელიც უნდა იპყრობდეს: ქართულს ვრცელს გრამატიკას, ჩვენს სასულიერო და საერო ლიგერაგურას, საქართველოს ვრცელს გეოგრაფიას, ჩვენის ქვეყნის ისტორიას საეკლესიოსა და სამოქალაქოსა და სხვა. მაგრამ მარგო ქართული

კათედრის დაარსებით საქმე ვერ გამოსწორდება. ეს ცვლილება მხოლოდ შეამცირებს ბოროტებასა; მაგრამ მის მოსპობასაც კი ვერ შეიძლება. ნამდვილის სასულიერო მწყემსების აღზრდას ქართველის ხალხისათვის მხოლოდ მაშინ მოეწესწრებით, როდესაც სასულიერო სასწავლებლებში დაწესდება სწავლება ყველა საგნებისა ქართულს ენაზედ, რუსული ენა ისწავლება როგორც ცალკე საგანი, ხოლო სემინარიაში სწავლება ნახევარის წილის საგნებისა მაინც მოეწყობა ქართულს ენაზე. ამგვარი მომართვა და დაწყობა სწავლისა საფუძვლიანად შეასწავლინებს მოწაფეებს არა მარგო საგნებს და ქართულს ენასა, არამედ რუსულშიაც ახლანდელმედ ერთი ორად მომეგებულად დაახელოვნებს მათ, რადგანაც სრულიად მოსპობს იმ თუთიყუშობას, მექანიკურ გეპირ-სწავლებას, რომელიც ეხლა სასულიერო ახალგაზრდობას გვინს უწყალებს, საგნების შეგნებას უმლის და რუსულის ენის გონივრულს შეთვისებას თითქმის შეუძლებლად ჰხდის.

ძალიან შემცდარი იქნება მკითხველი, თუ ამ ჩვენს აზრს რადიკალურ რადმე ჩასთვლის, რომლის ასრულებას მთავრობა ვერ შეიძლება. ქართულს ენაზე სწავლება საგნებისა სემინარიაში ხომ უფრო ძნელი ნაწილია ჩვენის მოთხოვნებიდან, მაგრამ ეს აზრი ერთხელ უკვე გამოთქმული იყო სასულიერო მთავრობისაგან ოფიციალურს ქალაქში. 1868 წელს, თუ შემდეგში, — კარგად აღარ გვახსოვს — დიდს მთავარ ნამესგნიკს მიხეილ ნიკოლოზის ძეს საქართველოს დავლის დროს შეენიშნა ის მოვლენა, რომ ქართველი მღვდლები არამც თუ ქადაგებას არ ამბობენ ეკლესიებში, საეკლესიო წიგნებსაც კი ჯლოყინით, ჩათვლით და ბორძიკით კითხულობენო. ეს თავისი შენიშვნა დიდს მთავარს ეცნობებინა მაშინდელის ეგზარხოსის ევსევისათვის, და ამან თავისით შეიგანა თბილისის სასულიერო სემინარიაში წინადადება ქართულის ენის სწავლების გაძლიერების შესახებ. ამ წინადადებაში, სხვათა შორის, აღიარებული იყო საჭიროება და სარგებლობა რავდენისმე საგნის სწავლებისა ქართულს ენაზედ. სამწუხაროდ, ამ აზრის ასრულება გადადებულ იქმნა სემინარიის მთავრობის მხრივ ახალის წესდების შემოღებამდინ, ხოლო

ამ შემოღების დროს მაშინდელის ობერ-პროკურორის გრგოლსგოის ჩინოვნიკები წინააღმდეგენ არამც თუ ქართულ ენაზედ საგნების სწავლებასა, ქართულის კათედრის დაარსბაც სეპარაგიულ წადილად ჩასთვალეს. გოლსგოი ახლ ჩამოვლებულია უწინდელის თანამდებობიდან, სინოდს ახლი ობერ-პროკურორი ჰყავს, კავკასიასაც ახალი მთავარ მართველი მოსდის და გვეგონია, რომ მარჯვე დროა აღერთ კითხვა ჩვენის სასულიერო სასწავლებლების და სემინარიის რეორგანიზაციაზედ. თაოსნობა და შუამდგომლობა ამ საქმეში შეუძლიან იკისროს თავადაზნაურთა კრებას; რადგანაც სამღვდელოების უვარგისობა მაღალი წოდებისათვისაც საგრძნობელი და მავნებელია.

ამ სიგყვებით მივმართავთ არა მარგო აღმოსავლეთ ქართველობას, არამედ უფრო მომეგებულად დასავლეთ სამღვდელოებას, რომელმაც წარსულს წელს გადასწყვიტა სასულიერო სემინარიის დაარსება ქუთაისში და თავისი დარიბის ჯიბიდან აღმოუჩინა მას სახსარი არსებობისა. სემინარიას შეუძლიან მოუგანოს დიდი სარგებლობა მთელ მხარეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი სხვა გზაზედ იქნება დაყენებული, სხვა ნიადაგზედ გამაგრებული და სხვაგვარად განწყობილი, ვიდრე თბილისის სემინარია: თორემ მაშინ იქაც იმე მწარეს და მავნეს ნაყოფს მოვიმკით, რომელიც აქ შეგვძლენ ეს სახეში უნდა იქონიოს იმერეთის სამღვდელოებამ და ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ ბერძნულ-ლათინურ-რუსულ სემინარიის მაგივრად დააარსონ ქართულ-რუსული სემინარია. ჩვენის მოსაზრების ასრულება ბევრით უფრო ადვილ ქუთაისის სემინარიის შესახებ, ვიდრე თბილისისა. დასაარსებულ სასწავლებლის ახალ ფეხზე დაყენება ერთი ათად ნაკლებ ზრუნვას ითხოვს, ვიდრე ძველის გადაკეთება. თბილისის სემინარიას საეკლესიო ხაზინა ინახავს და ამიგომ სამღვდელოებას დიდი ხმა არა აქვს მის მართვასა და გამგეობაში. ქუთაისის სემინარია კი არსდება ადგილობრივის სამღვდელოების ხარჯით, რომელსაც ამის გამო სრული უფლება აქვს იმგვარ ორგანიზაცია მისცეს, როგორც უფრო გედგამოჭრილად მიხვია ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებასა და საჭიროებაზე.

ეროვნულის პრინციპის და ეკონომიურის აღორძინების ერთმანეთზედ დამოკიდებულება. რად ჩამოვრჩით უკან ეკონომიურს სფერაში? ადგილ-მამულის სიეწროვე საქართველოში. სამკეცი სიეწროვე მიწისა დასაველეთ საქართველოში. სად უნდა მოიპოვონ მიწა-წყალი უმაჟულო იმერებმა და ამერებმა? ხმა სწაველების ფასის მომაგებაზედ.

ღიად, კარგი რამ გახლავთ ეროვნულის პრინციპის დამყარება ყოველს სფერაში; მაგრამ მარგო ეს არ არის საკმარისი ქვეყნის დაყენებისათვის წარმატებისა და ბედნიერების გზაზედ. თუ მომეტებულად არა, იმდენადვე მაინც საჭიროა ბრუნვა სოციალურს ცვლილებაზედ, ხალხის ეკონომიკურ მდგომარეობის გაუკეთესობაზედ. მართალია, დოვლათის აღორძინებაზედაც ეროვნულს უფლებათა აღდგენას კეთილი გავლენა აქვს, მაგრამ პირდაპირ არა, მხოლოდ შუამავლობითი. მეორე მხრივ, ეკონომიურად აყვავება ქვეყნისა ხდება შეურყეველს ბურჯად ეროვნულის აღორძინებისა. ამ სახით ეს ორი დედაბოძი ხალხის ცხოვრებისა ერთმანეთს მხარს აძლევენ, ხელი-ხელს არიან გადაბმულნი და მათი დაცალკეება და გაყრა ხეირს არ დააყრის არც ცალკე პირსა და არც საზოგადოებასა. ეს კარგად ესმოდა ჩვენს ინგელიგენციასა და ამიგომ იგი ცდილობდა, რომ ეროვნულ საქმეებთან ჯეროვანი ყურადღება მიექცია სოციალურ და ეკონომიურ კითხვებისთვისაც; მაგრამ უნდა გავგყდეთ და ვადიაროთ, რომ სოციალურის და ეკონომიურის კითხვების შემუშავება ჩვენში გოლად არ მოდიოდა პირველ კითხვებთან ერთად და თვალსაჩინოდ უკან რჩებოდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენი ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური. ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გვგკიოდა, გვადონებდა, ვიდრე სოციალური, და ნათქვამია, რომ რაც უფრო მეტად სტკივა კაცს, იმაზედ უფრო ხშირად სჩივის, ხშირად დაღაღებსო. ქონებით ჩვენი გლახობა უკან არ ჩამორჩება რუსეთის გლახობასა; მაგრამ აბა შეადარეთ

ჩვენის ენის, ლიგერაგურის, ჩვენის მეცნიერების და სხვა ეროვნულ ძალთა უფლებანი რუსეთისასა და თქვენ მათ შორის დაინახავთ გაუმომელს მანძილსა.

მცირეოდენი ნაწილი ჩვენის ინგელიგენციისა, რომელსაც არ ესმოდა ეროვნულის პრინციპის ღიდი და მაღალი მნიშვნელობა და რომელიც იჩემებდა დემოკრატიების სახელსა და მარგო ნივთიერების ცვლილებას ვითომ თაყვანსა სცემდა ვალდებული იყო მიექცია სერიოზული ყურადღება ეკონომიური კითხვებისათვის, გამოეკვლია იგინი და ცდილიყო შესაბამისი ცვილება გამოეწვია ხალხის ნივთიერის მდგომარეობისა. მაგრამ მან საბაკევიჩის როლი არჩია ამას. კიცხვა და ლანძღვა ეროვნული პრინციპის მოსარჩლეთა საქმედ გაიხადა: ეკონომიურს მდგომარეობას ჩვენის ხალხისა ერთი წერილიც არ უწილადა და ამითი აშკარად დაამგკიცა რომ ხალხის ნამდვილი სიყვარული მას ჯერედ ენის წვერის ქვემოდ არ წასვლია.

ეს გახლავთ უპირველესი მიზეზი იმისი, რომ თუმცა გლახობის განთავისუფლების შემდეგ გაიარა ჩვიდმეტმ წელიწადმა, მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ აქამდის საფუძვლიანად არაფერი იცის ჩვენის ქვეყნის ეკონომიურის მდგომარეობისა. არ ვიცით, რამდენმა კომლმა გლახმა დააღწია ბაგონყმობის უღელს თავი, რამდენმა მიიღო სრული ნადელი რამდენმა ნაკლები, რამდენი დარჩა სრულიად უმწეოდ, უღლად, რა გავლენა იქონია დოვლათის შექენაზედ ბაგონყმობის მოსპობამ, უკან წავიდა ჩვენი გლახობა, როგორც რუსეთის თუ წინ მიდის. რამდენმა გამოისყიდა ნადელი და რამდენმა ვერა, რამდენი მამულ-დედული დაჰყიდა თავაღამნაურობამ რამდენი გადავიდა გაყიდული მამული გლახების ხელში და რამდენი ჩაუყარდა სომხებსა და სხვებსა, სად და რაოდენ სიეწროვეა მიწისა; რამდენად უჭირს ჩვენს გლახობას თავსუფალს მიწაზედ გადასახლება, და სად უფრო მოუხდება გადასახლება, და სხვანი და სხვანი.

ამ კითხვების გამოკვლევას ჩვენში განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ის გარემოება, უკვე ხსენებულ ჩვენგან ცალკე წერილში, რომ საქართველოში გლახობა

შეადგენს ცხრა წილს საქართველოს ბინადართა და მხოლოდ მეთათე წილი ქართველებისა ეკუთვნის სხვათა წოდებათა.

ჩვენი ჟურნალი შემდეგში ეცდება ეკონომიურს კითხვებს უმთავრესი ყურადღება მოახმაროს, რადგანაც ეროვნულის პრინციპის მნიშვნელობა თეორიით საკმაოდ არის გამოკვლეული და მოელის მხოლოდ პრაქტიკულს აღსრულებასა. ამჟამად კი ჩვენ მოკლედ განვმარტავთ მხოლოდ ერთს ხსენებულს საკითხთაგანს, რამდენად უჭირავს ჩვენს ხალხს თავისუფალი მიწები გადასახლებისათვის და სად უნდა გადასახლდეს?

რუსეთის უმიწო გლეხობის გადასახლებაზედ ბოლო წელში დიდი ბაასი და სჯა გაიმართა რუსეთის მწერლობასა და საზოგადოებაში. თვითმმართველობამაც იმდენი ბრუნვა ამოუჩინა ამ გლეხებსა, რომ დანიშნა განსაკუთრებითი კომისია გადასახლების თაობაზედ, რომელმაც, ავად თუ კარგად, უკვე შეასრულა მინდობილობა. რუსეთის გლეხების გადმოსახლებას ჩვენშიაც აპირობენ. ამას ქადაგებდნენ ბოგიერთი რუსული ჟურნალ-გაზეთები, წარსულის წლის „კავკაზმაც“ ბანი მისცა, და საგახგო მართებლობას კიდევ გამოუგზავნია აგენტები, რომელთაც უნდა დაათვალიერონ და ამოარჩიონ თავისუფალი ადგილები შავი ზღვის ახლო რუსეთის გლეხობისათვის.

მაგრამ შინ რომ ყმაწვილი სგიროდეს, გარეთ გაბლას რა უნდაო. საქართველოს გლეხობას ერთი სამად დაოთხად უფრო მომეგებულად უჭირს თავისუფალი მიწები და გადასახლება, ვიდრე რუსეთისასა. რუსეთში ერთს კვადრატის მიღზე საშუალო რიცხვით სცხოვრობს 500 სულამდის; ჩვენში ამავე სივრცეზედ მოთავსებულია 1000 სულამდე. თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ნახევარი მთებს უჭირავთ, რომელნიც სახნავ-სათესად არ ვარგანან, მაშინ ცხადად დავინახავთ, თუ რამდენად აღემატება ჩვენებური სივიწროვე მიწისა რუსეთის სივიწროვესა. მაშასადამე, თავისუფალი მიწები შავი ზღვის ახლო ჩვენის ხალხისათვის სამჯერ დაოთხჯერ უფრო საჭიროა, ვიდრე რუსეთის გლეხებისათვის. ამ ეკონომიურს მიზეზს ზედ ერთ-

ვის ისგორიული სიმართლეც. თავისუფალი მიწები ბათუმის მაზრისა და აფხაზეთისა შეადგენენ ძველს ჩვენს საკუთრებას და დასახლებულნი იყვნენ უმეტეს ნაწილად ქართველთა გომით. „ჩემის პირიდგან გავარდნილი ლუკმა ჩემს ჯანს შივე ჩავარდესო“, ნათქვამია. სამართალი მოითხოვს, რომ ქართველის გომისაგან დაგოვებული ქვეყანა შეიქნეს საკუთრებად ქართველისავე გომისა, რომელსაც ძველს დროშა უარებელი სისხლი უღვრია მათის მგრისაგან დაფარვისათვის. მესამე მიზეზიც ამართლებს ამ ჩვენს შეცილებასა. სასულემწიფო ვალდებულია თავისუფალი მიწები დაურიგოს დაგჭირვებულებს, რომელნიც უფრო უკეთესად გამოიყენებენ მათ. კავკასიის ჰაერი და ბუნება ისე ძლიერ განსხვავდება რუსეთის ჰაერისა და ბუნებისაგან, რომ რუსის გლეხობა აქვერ გაძლებს და შეიქმნება მსხვერპლი აქაურის ავი ციებისა მალარიისა. გამოცდილებამ უკვე დაამტკიცა ესა. ქართველი გლეხობა კი შავი ზღვის ნაპირას არხეინად იცხოვრებოროგორც თავის სამშობლო ქვეყანაში. ნაწილადვეს მიწები კარგად მოიხმარენ, დოვლათს შეიძენენ, თვითონაც ისარგებლებენ და სახელმწიფოსაც არგებენ, ამიგომ მეგად მავნებელს უსამართლობას ჩაიდენს მართებლობა, თუ ამ თავისუფალ მიწებს ქართველებს გამოსწირავს.

მაგრამ სივიწროვე თანასწორად არ არის მთელს ჩვენს ქვეყანაში. თუმცა აღმოსავლეთის საქართველოშიაც სახნავ-სათესი იმდენად ნაკლებია, რომ ხიზნები ზოგან მეოთხედის მაგიერ ამჟამად იხდიან მემამულეების სასარგებლო მესამედზედაც მეგსა მიწის მოსაეღიდგან, მაგრამ დასავლეთის საქართველო ერთი-ორად და სამად მომეგებულ სივიწროვეს ითმენს. ეს ცხადად სჩანს პირველად სტაგის გიკურის ცნობებიდგან. აღმოსავლეთის საქართველოში ერთს კვადრატის მიღზედ ითვლება 800 სული, დასავლეთისაში 1200-1300 სული. თუ იმასაც დაუმატებთ, რომ ლიხიმთის იქით მთები და ჭაობები ბევრად მომეგებულია ვიდრე აქეთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი დასავლეთელი ძმებ ერთი ორად მომეგებულ სივიწროვეს იგანენ, ვიდრე ჩვენსწორედ ეს არის იმ მოვლენის მიზეზი, რომ თუმცა იმერლებს, მეგრელებს, რაჭველებს და გურულებს არავისზე

ნაკლებ არ უყვართ არც სამშობლო მხარე, არც თავისიანობა და არც დამოუკიდებლობა, მაგრამ იძულებულნი არიან დასტოვონ ყველაფერი, დაიფანგნენ აქეთ-იქით ან მთელის წლობით, ან მარგო ზამთრობით, გახდნენ ლაქიებად, მზარეულებად, კურნებად, კურგნიან მუშებად და მოიპოვონ საცხოვრებელი ღონისძიება, რომელსაც მათ ვერ აძლევს მათი პაწია, ერთის მგკაველის ოდენა უძრავი ქონება.

მაგრამ დასავლეთის საქართველოს კუთხეებსაც თანასწორად არ აწუხებთ სივიწროვე. იმერეთი და გურია ისე შევიწროვებულნი არ არიან მიწის ნაკლებობით, როგორც რაჭა და სამეგრელო. რაჭაში დღიური მიწა ფასობს ოთხმოც თუმნამდის, სამეგრელოშიაც მიწა თითქმის ამდენივე ძვერია. ეს საკვირველიც არ არის: სამეგრელოში თითო კვადრატის ვერსზე ცხოვრობს 1800 სული. ამ სივიწროვეს ერთიორად ხდის ის გარემოება, რომ ნახევარი სამეგრელო გყვსა და ჭაობს უჭირავს, რის გამოც თითო გამოსადეგს კვადრატის ვერსზედ აქ 3600 სული მოდის. ეს ისეთი სივიწროვეა, რომელიც რუსეთის არც ერთს კუთხეში არ გავიხილა. ეს სივიწროვე ერეკება მეგრელებს სამუშაოდ ზოგს აღმოსავლეთისაკენ, ზოგს დასავლეთისაკენ და ზოგს სამხრეთისაკენ. ამისთანავე ვიწრო გაფაში იწვის, როგორცა ვსთქვი, რაჭაც თავის პაგიოსანის და მუყაითის მცხოვრებლებითა.

ამაზედ უფრო დიდი ჭირი ჩვენს ქვეყანას ამჟამად არ ადგია. ამაზედ უსაჭიროეს საქმეს ჩვენი მწერლობა და საზოგადოება ვერ აღძრავს. ჩვენი გავლენიანი პირნი უდიდეს სიკეთეს შესძენიან ჩვენს ქვეყანას, თუ თავის შუამდგომლობით მთავრობის წინაშე ჩვენს უმაჟულო გლეხობას გამოუთხოვენ საკმარის თავისუფალს ადგილებს ბათუმის მაზრასა და აფხაზეთში. მეგადრე დიდი გარჯა და ყურადღება მართებს ამ საქმისათვის დასავლეთის საქართველოს განათლებულ ნაწილს საზოგადოებისას. წერით, თუ სიგყვით მან უნდა ხმა-მაღლა ილაღადოს ამ უდიდესის საჭიროების დაკმაყოფილებაზედ, ითხოვოს დაქინებით, არაკუნოს, იშუამდგომლოს და იქამდის არ დაცხრეს, ვიდრე საქმე კეთილად არ დააბოლოს. ამ მოქმედებაში ის აზრიც უნდა გვამხნევებდეს, რომ ერთს უბედურებას – ძმების სამუდამოდ გადაკარგვას სათათრეთში

ძველის საქართველოდგან – არას გზით არ უნდა დავეუმაგოთ მეორეც – ძველის ჩვენის გერიგორიის ხელიდგან გაშვება, დაკარგვა, უცხო გომთა სასარგებლოდ...

ამ საგანს ჩვენ კიდევ არაერთხელ დავებრუნდებით.

სათქმელი კიდევ ბევრი რამ გვაქვს, იმიტომ რომ ათასი საჭიროება გვაწუხებს, ათასი კითხვა გარშემო იბადება; მაგრამ ეს ჩვენი მიმოხილვა ერთობ ძლიერ გაგრძელდა და იძულებული ვართ წერგილი დავსვათ, მხოლოდ რამდენიმე სიგყვისათვის კიდევ ვთხოვთ მკითხველს ყურადღებას.

ბოლოს დროს რუსეთის გაბეუბება ერთი მეგად ცუდი ხმა გვასმინეს, ცუდი ყველასათვის საზოგადოდ და უცუდესი ჩვენთვის კერძოდ. ჩვენ ვამბობთ სწავლის ფასის გადიდებაზედ გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში. თუ ეს ხმა გამართლდა, შენი მგერი, ჩვენი საქმე იქნება. ისე არავის არ აენებს ეს განკარგულება, როგორც ჩვენ, ქართველებსა. აქამდინაც ათს მოწაფეში ერთი ქართველი ძლივს ერია, ჩვენის შეუძლებლობის გამო, და ეს საცოდავი რიცხვიც ერთიორად და სამად იკლებს შემდეგში, თუ ღმერთი მართლა გაწყრა და ეს ხმა სწორედ გამოდგა. აქამდინაც ინგელიგენცია ისე მცირედი გვყავდა რიცხვით, რომ ათ განათლებულს სომეხზედ ერთი ნასწავლი ქართველი ძლივს მოდიოდა და შემდეგში ხომ სულ წყალი წავგიღებს. რუსი მოხელეობა, რომელსაც უმეგესად ჯამაგირიანი ადგილები უჭირავს, და სომხობა, რომელიც გამდიდრებულია ვაჭრობით, ალებ-მიცემობით, ბევრს არაფერს შეიმჩნევენ ფასის გადიდებას, პირიქით, დაიჭერენ სასწავლებლებში იმ ადგილებსაც, რომელიც ქართველების დათხოვნის გამო ცარიელი დარჩება. და ამ სახით, სასწავლებლები, რომელნიც უმეგეს ნაწილად ჩვენის ერის ხარჯით ინახებიან, განათლებას სხვაზედ მოჰყენენ და ჩვენ კი შორიდგან თვალები დაგვებრიცება.

[1882]